საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი
TRAINING CENTER OF JUSTICE OF GEORGIA

010055918524813

KA010055918524813

0133, ქ. თბილისი, გორგასლის ქ. № 24 Tel/Fax: (+995 32) 405102; 24 Gorgasali st., Tbilisi, Georgia
www.tcj.gov.ge E-mail:trainingcenter@justice.gov.ge

№ 27/ს

27 / აგვისტო / 2013 წ.

ბრძანება

საკონკურსო კომისიის შექმნის თაობაზე

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2009 წლის #214 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის დებულების მეათე მუხლის ზ) პუნქტის და კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე 2011 წლის 10 თებერვლის სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის #3 ბრძანების შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის შენობის სარემონტო-სამშენებლო სამუშაოებისათვის საჭირო არქიტექტურულ-საპროექტო-საინჟინრო-სახარჯთაღრიცხვო სამუშაოების შესყიდვის მიზნით გამოცხადდეს კონკურსი და შეიქმნას საკონკურსო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

- ალექსანდრე ბარამიძე - კომისიის თავმჯდომარე - საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე;
- ალექსანდრე ბურჭულაძე - კომისიის წევრი - საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე;
- ნინო ციხისთავი-ხუციშვილი - კომისიის წევრი - სსიპ საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის დირექტორი;
- ნუგზარ კაკულია - კომისიის წევრი - სსიპ საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის დირექტორის მოადგილე;

2. შეიქმნას სატენდერო კომისიის აპარატი შემდეგი შემადგენლობით:

- ოთარ ფერაძე - საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის ფინანსისტი.
- ანა ხუციშვილი - საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის შესყიდვების კოორდინატორი.

3. კომისიის თავმჯდომარის არყოფნის ან მის მიერ უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში, კომისიის თავმჯდომარის მოვალეობა შეასრულოს საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილემ ალექსანდრე ბურჭულაძემ.

4. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

5. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის. ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი №6, მე-12 კილომეტრი), მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

იუსტიციის სასწავლო ცენტრის დირექტორი ნინო ციხისთავი-ხუციშვილი